

# მ ვ უ ე მ ს ი

ოფიციალური განყოფილება საქართველოს საეკსპანსიისა.

სასულიერო მუხრანის «მწყამისი»-ს რედაქტორს, დეკანოზს დავით ლაგაზიძეს.

გარდმოცემით რა ამასთანავე მოწოდებასა სოფლის ზემო ნიქოზის ძველი თხუთმეტის საუკუნის საკრებულო ტაძრის განახლების შესახებ, წინა დაგიდებთ თქვენ დაბეჭდოთ იგი თქვენი გამოცემის უმახლობელს ნომერში ჩემი წინადადებით ჩემდამი რწმუნებული იმერეთის ეპარქიის ყველა ბლადონიებისადმი, რომ ქრისტიანული გრძნობისა და ზატყვის ცემისა გამო ისტორიულ ძეგლთადმი, შემწეობა აღმოუჩინონ აღნიშნულს საქმეს, როგორც თაყვისი საკუთარი შეწირულებებით, ისე საეკლესიო კრებულთა მიწვევით, სოლო ამ უკანასკნელთა სამუხაფებით სხვათაც ღვთის მოსავე სამრევლოთა,

რათა მონაწილეობა მიიღონ ამ წმიდა და კეთილ საქმეში იმ ჰირობით, რომ ბლადონიებმა შეწირულებანი შექმნიველთა სიებით გაუგზავნონ გორში ზემო-ნიქოზის მღვდელს იოანე დავიდოვს,

გაბრავდეს ეპისკოპოსი იმერეთისა.

19 აპრილს, 1889 წ.

№ 893.

## ღვთის-მოყვარენო ქრისტიანენო!

ღვთის გულისათვის და საღადებლად მრისტეს ეკლესიისა ნუფულებელ ჰყოფთ ზემო ნიქოზის ტაძრის განახლებას. ტაძარი ესე აუგია მესუთე საუკუნეში სახელოვანს მეთუ მახტანგ გორგასლანს და მას უკან აგერ თხუთმეტი საუკუნეა შეურყეველი სდგას



და იცავს წიაღსა შინა თვისსა ნაწილებს პირველისა და დიდისა მთავარ-მოწამისა საქართველოს ეკლესიისა წმ. რაქუნისას, რომელიც ჯვარცმულ იქნა სპარსთა მიერ 45 ± წელს. თხუთქუთა საუკუნეა მას უკან, რაც ტაძარს ამას შინა შეიწარვას უსისხლო მსხვერპლი ღვთისა წინაშე. \*) მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, დაუნდობელი დრო შეეხა ამ მტკიცე ძეგლსაც და ტაძარი ესე ამ ქამად ისე დაძაბუნდა და ინგრევა, რომ დიდის გაჭირვებით ილოც-იწირება, ხოლო თვით გუმბათიც ჰლამის დანგრევასა. სამართლიანისა და საუკუნო გმობის ღირსნი ვაქნებით შეიღობა და შეილი-შეიღობა ჩვენთაგან, უკეთუ გულგრილობითა ჩვენითა დაუნგრევთ ასეთსა დიდებულსა ძეგლსა — ამ მოხუცებულს მოწამეს ჩვენთა მამა-პაპათა და წინა-პართა სახელოვანის ცხოვრებისას, რომელსაც ვერი ყოველთვის დიდის პატრიის-ციხით და მაწიწებითა იხსენიებდა და აწცა იხსენიებს.

პიტვირთეთ რა შედგენა და წევრად ყოფნა კომიტეტისა ნიქოზის ტაძრის განსახლებლად, მიუხართავთ ჰრისტეს მიერ ძმათა ჩვენთა და ძეთა საქართველოს ეკლესიისათა და ვთხოვთ მიიღონ გულმოდგინე მონაწილეობა ღვთის საამურსა ამა საქმეში შეწირულებითა თვისითა; დარწმუნებული ვართ, რომ ყველა მართლ-მადიდებელნი ძმანი ჩვენნი, ყველა კეშმარიტნი ძენი ჩვენის მართლ-მადიდებელის ეკლესიისანი, რომელნიც პატრიესა სცემენ სახელსა და დიდებასა წარსულისასა და ძვირად უღირსთ ძეგლი და

სახსოვარნი მისნი, შესწირვენ განახლებისათვის ტაძრისა ამის ვიეთნიმე საცებათაგან, ღვთისგან მინიჭებულისა ქონებისა თვისისა, ხოლო ვიეთნიმე — წელილთა მცირეთა თვისთა წარსაგებელთაგან. ნუ შეკრთებით, უკეთუ მცირე იყოს მსხვერპლი და შეწირულება თქვენი, რამეთუ ყოველივე მოცემული კეთილ არს და გულისთა შემოწირული წმინდაა ღვთისა წინაშე. შეწვენითა ღვთისათა, მცირითა მით შეწირულებითაცა გაკეთდებიან დიდნი საქმენი ღვთისანი.

ტაძარი ესე შეიღობა და შეილი-შეიღობა ჩვენთა მოაგონებს ყოველსა ქამსა დიდებულსა და დაუვიწყარსა საქმესა მამა-პაპათა ჩვენთასა და ჩვენთა პატრიისციმასა მათ საქმეთა მიმართ. ტაძარსა ამასა შინა ღვთისა და ღვთისა და შეიწირება მსხვერპლი განსახევენებლად სოფელსა წმინდათასა ყველა გარდაცვალებულთა ძმათა ჩვენთა, მოსაეთა ღვთისათა და საღვებრძელოდ კეთილ-შემომწირველთა და ჩვენთვის ცოცხალთათვისცა.

კომიტეტი ზემონიქოზის ტაძრის განახლებისა დიდის მადლობით მიიღებს შეწირულებასა და სიას შემწირველებისას გამაჯობადებს განეთში. კომიტეტა სთხოვს შემწირველთა გამოგზავნონ თვისი, შეწირულებანი შემდგვის აღრესით: *Въ г. Тори, члену комитета по возобновлению Земо-Никозскаго собора свящ. Ивану Давидову.*

\*) ტაძარი ესე 1810 წლამდე ეპისკოპოსის საკათედრო ეკლესია იყო და თავისი საკუთარივე ეპარქია ჰქონდა.



# მედიკონი

1883-1889

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

(მწყემსი)

(მწყემსი) რუსული გამოცემით

12 თვეით . . . . .	5 მან.	12 თვეით . . . . .	6 მან.
6 — . . . . .	3 —	6 — . . . . .	4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ვა Кавказу, В контору редакци „Медиси“ (Пастыр).

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციასი იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავთ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## მეგრულ ენაზე ლოცვების და წიგნის წესის გადართავებისა გამო.

ჩვენი გაზეთის მკითხველები, რასაკვირველია, წაითხვენ ახალ-სენაკიდგან გამოგზავნილ კორრესპონდენციას სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელთაგან კრების შესახებ. ამ კრებაზე სამღვდელთაგან დეპუტატებს, სხვათა შორის, მსჯელობა უნდა ჰქონებოდათ ქართული ენიდან მეგრულ ენაზე გადათარგმნილი საღმრთო ლოცვების შემოწმების და მიღების შესახებაც. ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს, რომ სამღვდელთაგან დეპუტატებს ძლიერ სამწუხაროდ დაურჩათ ესრეთი წინადადების მოსმენა.


ჩვენ რამოდენათაც ვიცით, ეს კითხვა აღიძრა ზოგიერთი პირების სურვილით, რომელნიც, რაღაცა ახირებული მოსაზრებისა გამო, ყოველივე ღირსი მით სკდილობენ, რომ ქართული ენის სწავლება სრულებით განაძეონ სამეგრელოს საერო სკოლებიდან და მის ნაცვლად მეგრულ ენაზე აღადგინონ მწერლობა. იგივე პირნი სკდილობენ, რომ სამეგრელოს სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლება სწარ-

მოებდეს მეგრულ ენაზე. ასეთი მოსაზრების საბუთად ის მოჰყავსთ ზემო აღნიშნულ პირთა, რომ პირველ დაწესებით სწავლა უნდა სწარმოებდეს დედა ენაზე.

მანც დაახლოვებით იცის ამ საქმის გარემოება, ვისაც კარგად აქვს გამოკვლეული ქართული და მეგრული ენა და მათი ისტორია, მათთვის, რასაკვირველია, საჭირო არ არის ბევრი ლაპარაკი და საბუთების მოყვანა ამ წინადადების უსაფუძვლობის და უკანონობის დასამტკიცებლად. მაგრამ ვინც, სამწუხაროდ, დაახლოვებით არ იცის ეს საქმე, არ იცის მიზანი ზოგიერთა პირების ამისთანა ახირებულის სურვილისა, მათთვის საჭიროა ამ ახირებული სურვილის და ლტოლვილების უსაფუძვლობის საბუთებით და ფაქტებით დამტკიცება.

მაგი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზე ძლიერ ძველი დროიდან სცხოვრებს ხალხი — მეგრელები, რომელნიც ეკუთვნიან ქართველთა ტომს. ამ ხალხს ძველი დროიდანვე ერთობა ჰქონებია ქართველებთან. ხან-დის-ხან მმართველებიც ერთი ჰყოლიათ ხოლმე და ხან საკუთარი. ღვს ეს ხალხი რიცხვით ას ორმოცათასამდის ითვლება და უკავია ორი მაზრა.

მარისტეს სწავლა-მოდერება თავიდანვე უქადა-





გიათ აქ ქართულს ენაზედ. დღეადგან ქრისტიანობის მიღებისა წირვა-ლოცვა და სწავლა-ქადაგება ამ ხალხში სრულდებოდა ქართულს ენაზე და ღღესაც ამავე ენაზე ხრულდებოდა. ყველა აქური მღვდელ-მთავრები, მკონდილად წოდებულნი და ქათალიკოსები ქართულს ენაზედ სწირავენ და ამავე ენაზედ ჰქადაგებდნენ. ანდრია მოციქულიდგან დაწყებული, რომელმანც პირველად იქადაგა ამ მხარეში ქრისტეს სწავლა, ღღემდის სამეგრელოს ხალხს წირვა-ლოცვა, სწავლა-მოძღვრება და ლიტურატურა ქართულს ენაზედ ჰქონებია და აქვს. მტრებს აუოხრებია ხოლმე ეს ქვეყანა, გადაუწევას ეკლესიები, დაუწევას საღმრთო და საეკლესიო წიგნები, მაგრამ სამეგრელოში ქართული ენა და ქართულად წირვა-ლოცვა და ღღეთის ვედრება ვერ მოუსპიათ. ქართულს ენაზე განათლებული და სწავლა მიღებული სამეგრელოს ხალხი ისე მტკიცედ დარჩენილა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე, რომ ურწმუნო მებოძლებს, თათრებს და მათ მზაკვესთა ქრისტიანობის ნათელი ვერ დაუქრათ და ვერ შეუმუსრავთ.

იმ დროსაც, როდესაც სამეგრელოს კუთხეს მართავდნენ მეგრეთა თავადნი და ღღებულნი და როდესაც ყოველივე ღონისძიებას ხმარობდნენ განკერძობებისათვის სხვა ქართველთა ხალხის სამთავროთაგან, მაშინაც კი არავის აზრად არ მოსვლია, გულში არ გაუვლია, მეგრულ ენაზედ ასოების გამოგონება და ამ ენაზე მწერლობის და ლიტურატურის დაარსება. შოველს დროს და ყოველს შემთხვევაში მეგრეთა თავის ღღდა ენათ მარტო ქართული ენა მიაჩნდათ და ღღესაც მიაჩნიათ. ამას ამტკიცებს ყველა გუჯრები და წერილები, დაწყებულნი იმ დროიდან, როდესაც ქართულ ენაზედ მწერლობა დაარსებულა. მიწერ-მოწერა და მოკითხვა ყოველთვის ქართულს ენაზე ყოფილა და არის, ყველა ეს მეტის-მეტად ცხადი და აშკარაა.

მსლა ვიკითხოთ, რა საჭიროება ითხოვს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ხალხს უარი ათქმევინონ ქართულს ენაზედ და მეგრულად დაწყებინონ წირვა-ლოცვა და წერა-კითხვა? ბერი ვიფიქრეთ, მაგრამ ვერას გზით ვერ მიმხვდარავართ, თუ რა სარგებლობისათვის ითხოვენ, რომ, მაინც და მაინც, მეგრულად ილოცონ და მეგრული მწერლობა დაარსონ? რით ვერ გაიგეს, რით ვერ შეიტყეს, რომ მეგრული ენა არ არის ისეთი განსხვავებული ენა ქართული ენიდგან, როგორც, მაგალითებრ, რუსური, აფხაზური და

სომხური? რით ვერ შეიტყეს, რომ მეგრული ენა იგივე ქართული ენა არის გადასხვაფერებული? ორს მეგრელს ისე არ შეუძლია ილაპარაკონ მეგრულ ენაზედ, რომ ლაპარაკის დროს მესამედი მაინც ქართული სიტყვები არ იხმარონ.

მინ არ იცის, რომ სამეგრელოს მკვიდრთა უმეტესი ნაწილი ქართულად ლაპარაკობს? მსინიცი კი, რომელნიც მარტო მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ, მალე ეჩვევიან ხოლმე ქართულად ლაპარაკს, როცა იგინი დაიწყებენ ცხოვრებას ქართველთა ოჯახებში. ამ პირებისათვის სრულიად საკმაოა 2 კვირა ან 1 თვე მოათიონ ასეთ ოჯახებში, რომ წმინდა ქართულ ენაზე იწყონ ლაპარაკი. რომელი უცხო ენის შესწავლა შეიძლება ორი კვირის ანუ ერთი თვის განმავლობაში? — არც ერთი ენისა, ჩვენი აზრით. მაშ მეგრელებს რატომ ეადვილებათ ქართული ენის შესწავლა? იმიტომ რომ მეგრული ენა გადასხვაფერებული ქართული ენა არის, ქართული ენის ნათესავია.

ასეც რომ არ იყოს, ნუ თუ კანონიერი და საქმისათვის სასარგებლო იქნება ზოგიერთ აზრებულ პირთა დაჯინებული სურვილი, რომ ერთ მუტა ხალხს, რომელსაც მაზრა ნანგვარი უქვრია, ცალკე მწერლობა დაუარსონ და ამით მოაშორონ იგინი ერთ მილიონ ქართველ ღღიდ-ძმა ხალთან ერთობას?

იქნება ვისმეს ეგონოს, რომ მეგრელებს რაიმე საქმეში აბრკოლებდეს მეგრულ ენაზე მწერლობის უმექარლობა. იქნება სწავლა-განათლების საქმეში მეგრეთა ახალ-თაობას აბრკოლებდეს ის მოვლენა, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა სწარმოებს პირველად ქართულ ენაზე და შემდეგ ამ ენის საშუალებით სახელმწიფო ენას სწავლობენ? იქნება ვისმეს ჰგონია, რომ მეგრეთა ბავშვებს პირ-და-პირ რუსული ასოებიდგან რომ დააწყებინონ სწავლა, უფრო გაუადვილდებათ იგი? ყველა ამისთანა მოსაზრებანი შეიძლება იქონიოს კაცმა ნებით და უნებლიეთ, თავის სარგებლობისა და ზარალისათვის, მაგრამ ცხოვრების კანონებს და ნამდვილ ფაქტებს სად წაუხვალ კაცი! კაცს ბევრი რამ მოსაზრება მოუთა თავში, ბევრ რამეს თავის საზარალოსაც მოიფიქრებს უნებლიეთ, მაგრამ ისტორია ცხოვრებისა და მისი კანონები სულ სხვას გვაჩვენებენ და გვიმტკიცებენ. ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად დავასახელებთ რამოდენიმე ფაქტს.

აიღეთ სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი და შეაღრეთ იგი საექსარხოლოს სხვა



სასულიერო სასწავლებლებს სწავლის მხრით. თქვენ დარწმუნდებით, რომ სამეგრელოს სასწავლებლის მოწაფენი სრულებით არ ჩამოუდგებიან უკან სხვა სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთ, თუმცა ამ სასწავლებელში ხსენებაც არ არის მეგრულის ენის სწავლებისა. მხლა აიღეთ სამეგრელოს წინა დროის სახალხო სკოლები, რომლებშიაც სწავლა ქართულს ენაზე სწარმოებდა და შეადარეთ სხვა სახალხო სკოლებს. ამ შედარებიდან თქვენ ცხადათ დაინახავთ, რომ სამეგრელოს სახალხო სკოლებში წინეთ სწავლა უფრო კარგად თუ მიდიოდა, თორემ კულად არასოდეს. აიღეთ ახლა სამეგრელოს ეხლანდელი სახალხო სკოლები და დააკვირდით, თუ რა ჭაპან-წყვეტით ეწევიან მოსწავლეები სწავლის საქმეს და რამდენ დროს ჰკარგვენ მეგრული ასოების შესწავლაზე, მაგრამ თვალსაჩინო ნაყოფი ჯერ არაფერი გვინახავს. სამეგრელოს ზოგიერთ სახალხო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვმა შემამჩნევად იკლო; მოწაფეები მიეშურებიან სამრევლო სასწავლებლებში, სადაც მათ სახელმწიფო ენას ასწავლიან არა მეგრული ენის საშუალებით და შემწევობით, არამედ ქართული ენის დახმარებით.

ამ საგანზე ასე გავაგრძელოთ სიტყვა, არა მართკო ქართული ენის დასაცავად, არა იმ მიზნის გამო, რომ თუ მეგრელებმა თავის ენაზე დაარსეს მწერლობა, ქართული ენა დაილუგება-თქო და არა იმისათვის, რომ აშორდებოდნენ პერვევოზნიკებს და მათ მხგავსთა პირთა ახირებულ მოსახრებათ წინა აღუდგეთ და ვებრძოლოთ. არა; ეს ჩვენი და ჩვენი ორგანის საქმე არ არის. ჩვენი ყურადღება მიქცეულია სულ სხვა საგანზედ, სულ სხვა სამწუხარო და საშიშო მოლოდინზე, — ხალხის სარწმუნოების შერყევაზედ და მწვალებლობის გავრცელებაზე; ამ მოსალოდნელ სამწუხარო მოვლენაზე ზოგიერთი ჩვენი ბატონები იმდენად ფიქრობენ და ზრუნავენ, რამდენათაც წარსული წლის თოვლზე...

მინ არ იცის, რომ ამ ოცი წლის წინათაც ზოგიერთებმა ახირეს მეგრულ ენაზე ლეთის-მსახურების და ლოცვების შემოღება ეკლესიებში. ამ პირებმა კიდევ მოაგვარეს ეს საქმე თავის სურვილისაგან. მინ არ იცის, თუ ამ მიზეზისა გამო როგორ მიატრია ხალხმა ეკლესიები და წყვეა-კრულით იხსენიებდა თავიანთ სამღვდლოებას და წირვა-ლოცვის ქართულიდგან მეგრულ ენაზე გადამთარგმნელებსაც?

ზოგიერთ ჩვენ ნაცარ ქექია პედაგოგებს ისე აღვიღად მიაჩნიათ სხვა-და-სხვა ცელილებათა შემოღება წირვა-ლოცვის და სარწმუნოების საქმეში, როგორც რომელიმე სახელმძღვანელო წიგნის ხმარებიდან გამორიცხვა და შემდეგ, ორი-სამი წლისა, ხელახლად მიღება. ამ ბატონებს ხალხის სარწმუნოების და წინების საქმე სრულებით არ ესმისთ და არც შეიძლება ეს მოვსთხოვოთ მათ. ძაცს ის მოვსთხოვება, რაც აქვს, თორემ რაც არა აქვს, ის კიდევ რომ მოვსთხოვოთ, რას მივიღებთ?

სლავიანური ენა ძალიან დაახლოვებულია რუსულ ენასთან. ამას წინეთ რუსეთში განიზრახეს წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე გადაღება, მაგრამ ვერ მოახერხეს. მისაც რუსეთის საეკლესიო ისტორია უსწავლია, ეცოდინება მიზეზი მწვალებელთა და განდევილთა გამრავლებისა...

ჩვენი საქართველოს ეკლესია დღიდგან დაარსებისა თვრამეტი საუკუნის განმავლობაში ლმერთს დაუფარავს შინაურ მწვალებლებისაგან და დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოჩენილან ვილაცა სარწმუნოებაზე ხელ აღებულნი და თავიანთი უგუნური ქცევით და მოსახრებით მწვალებლობის შემოღებას გვექადიან! მინ არიან ეს პირები? მინ მისცათ მათ ასეთი უფლება, რომ ასეთი ცელილება მოახდინონ წირვა-ლოცვაში და საღმრთო სჯულის სწავლების საქმეში?

მთელს რუსეთის იმპერიაში არსებობს ერთადერთი დაწესებულება, უწმიდესი სინოდი, რომელიც განაგებს სარწმუნოების და ეკლესიების საქმეს და გარეშე ამ დაწესებულებისა არა ვის არა აქვს უფლება რაიმე ცელილება მოახდინოს წირვა-ლოცვის და საღმრთო სჯულის სწავლების საქმეში. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ უწმიდესი სინოდისაგან არავითარი განკარგულება არ მომხდარა სამეგრელოში წირვა-ლოცვის მეგრულად შემოღების და საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ. ჩვენს საქართველოში, დღიდგან საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, არსებობს უწმიდესი სინოდის განყოფილება, საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორა, რომელიც აგრეთვე განაგებს სარწმუნოების და ეკლესიების საქმეს. ჩვენ რამდენათაც გვახსოვს, მეგრული ასოების შემოღებაზე და წირვა-ლოცვის მეგრულად გადაღების შესახებ არ ყოფილა სჯა არც სინოდალნი კანტორაში და ვილაცა ერის კაცებს სრულებით არა აქვსთ უფლება ამ საპატო კითხვებს შეეხონ უწმიდესი და

უმართებელესი სინოდის ნება-დაურთველად. შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში ხალხისაგან მიღებული და ხმარებული ლოცვების და წირვა-ლოცვის შეცვლა, რადგან ამ შეცვლილს წირვა-ლოცვას ხალხი ვეღარ შეითვისებს. ჩვენ სრული დაიმედებული ვართ, რომ ამ საყურადღებო საგანს ჯეროვანი ყურადღება მიექცევა როგორც ჩვენი ქვეყნის სასულიერო, ისე საერო სამასწავლებლო მთავრობათაგან.

დკბ. დ. დამბაშიძე.

**როგორ არსდებიან ჩვენში სამკლესიო სამრევლო სამზრუნველონი?**

ძაი ხანია მას აქეთ, რაც საეკლესიო სამრევლო სამზრუნველოთა კანონები შეადგინეს და უმაღლესად დაამკიცეს. მრავალი უქაზებია გამოცემული ამ შენიერ დაწესებულებათა სისრულეში მოყვანისათვის, მაგრამ გამოტყეხილი უნდა ესთქვათ, რომ მთელს საქართველოს საეკლესიოში 1887 წლამდე სამრევლო სამზრუნველოების ხსენებაც არ ყოფილა. მხოლოდ ამ 1887 წელში მალალ ყოვლად სამღვდელთა ექსარხოზმა პალლადიმ, თავის მობრძანებისათხავე, ჯეროვანი ყურადღება მიაკცია საეკლესიო სამრევლო სამზრუნველოების დაარსებას. თუმცა მათი მეუფების მობრძანებიდამ, დიდ დროს არ გაუფლია, მაგრამ სამრევლო სამზრუნველოთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა. მბილისში მათი მეუფებისაგან უკვე დაარსდნ სამზრუნველონი: მერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიასთან, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან, სიღვიძლის ეკლესიასთან, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიასთან, დიდუბის ეკლესიასთან და ძაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიასთან. შევლვან ამ სამზრუნველოების თავსმჯდომარედ აღრჩეულ იქმნენ სპატიო პირნი, მგავლითად: 1) მერის სამზრუნველოს თავსმჯდომარედ არის აღრჩეული პოლკოვნიკი ბ. ცილოსანი, 2) ჩუღურეთში—ღვის. სტ. სოვეტნიკი დ. ზ. ბაქრაძე, 3) პეტრე-პავლეს ეკლესიის სამზრუნველოს თავსმჯდომარედ არის აღრჩეული ექსარხოზის კანცელარიის ბუხლალტერი ა. მ. მათვევი, 4) სოლოლაკ

ში—ტაინი სოვეტ. ბ. თავადი ორბელიანი, და 5) ძვაშვეთის ეკლესიის სამზრუნველოს თავსმჯდომარედ აღრჩეულია გენერალ-ადიუტანტი თავადი ი. ბ. ამილახვარი. იმედია, რომ მისი მალალ ყოვლად უსამღვდელთაობის ექსარხოზის მამობრივი მოღვაწეობით და მეცადინეობით ასეთივე სამზრუნველოები დაარსდებიან საეკლესიოში სხვა ადგილებშიც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს სამზრუნველოები დიდს სარგებლობას მოუტანენ ჩვენი ღარიბი ეკლესიების გამშენების და განახლების საქმეს. ნითიერ სარგებლობას გარდა, ეს სამზრუნველოები მწყემსთა და სამწყსოთა შორის დაამკვიდრებენ სასურველ ურთიერთობას და კავშირს. შეიძლება რომელიმე სამრევლო სამზრუნველომ ჯეროვანი სარგებლობა ვერ მოიტანოს, მაგრამ ამის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია უარ ვყოთ სამზრუნველოების დიდი სარგებლობა და მნიშვნელობა. შევლა ჩვენგანი ვალდებულია ამ საქმეში მიბაძოს მის მალალ ყოვლად უსამღვდელთაობას ექსარხოზს, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავს საქართველოს ეკლესიების ჯეროვანად შემკობისა და განახლებისათვის.

რატომ წინეთ არ იყენენ ჩვენში სამზრუნველოები და დღეს როგორ არსდებიან იგინი? სიტყვასა და საქმეს შორის დიდი მანძილია. ძანონების, უქაზებისა და მიწერილობათა სისრულეში მოყვანისათვის მარტო ქალღი და მეღანი კი არ კმარა. საქმის სისრულეში მოყვანისათვის საჭიროა გულით და სიყვარულობით საქმის ხელის მოკიდება, გულის შემატყვირობა, ქეშმარიტი მზრუნველობა. როდესაც კაცი ასე გულით ჰკიდებს საქმეს ხელს, ის ყოველივე დაბრკოლებას დასძლევს, ასეთი კაცი ყოველთვის იშოვის თავისუფალ დროს კეთილი საქმის გასაკეთებლად. სწორეთ ასეთი ერთგულობით ცდილობს სამრევლო სამზრუნველოების დაარსებას მალალ ყოვლად სამღვდელთა პალლადი. ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს. მისმა მალალ ყოვლად უსამღვდელთაობამ საქართველოს ექსარხოზმა ამას წინეთ დაათვალიერა დიდუბის ეკლესია. მათმა მეუფებამ ნახა, რომ ამ ეკლესიას არა აქეს გუმბათი, არა აქეს გაღაფანი და შიგნითაც იგი შესაფერად არ არის მოართული, თუმცა ეკლესიას კაი შემოსავალი აქეს. მათმა მეუფებამ ისურვა ამ ეკლესიასთან სამზრუნველოს დაარსება და რადგან ხსენებულ ეკლესიას საკუთარი მრევლი არა ჰყავს, ამისათვის მათმა მეუფებამ კანონის ძალით თავის-თავად დანიშნა თავს-

მჯდომარე და ზოგიერთი წევრი სამზრუნველოისა. ამ აღნიშნულ პირთა მათმა მეუფებამ მისცა წინადადება და სთხოვა, რათა მათ თავის-თავზე მიეღოთ ხსენებული მოვალეობა. აღნიშნულ პირთა დიდის სიხარულით მიიღეს თავის საყვარელი მწყემს-მთაფრის წინადადება.

რადგან სამრევლო სამზრუნველოები ახალი საქმეა ჩვენში, ამიტომ სამზრუნველოების ზოგიერთმა წევრებმა ჯერ-ჯერობით კარგად არ იციან თავიანთი მოვალეობა და საჭიროებენ ბევრი საექვეო კითხვების განმარტებას. ამისათვის საჭიროა თავისუფალი დრო როგორც სამზრუნველოს წევრთათვის, ისე მწყემს-მთაფრისათვის. ასეთ თავისუფალ დროს ზოგიერთი საექვეო კითხვების განმარტებისათვის სამზრუნ-

ველოთა წევრი შობენ სალამოს შვიდ საათზე; სწორეთ ამ დროს ეს პირნი მიემგზავრებიან ხოლმე თავის მწყემს-მთაფართან. მათი მეუფებაც დიდის სიხარულით ღებულობს ამ პირთ და თავის მამა-მეილური ბაასის დროს უმარტავს მათ საექვეო კითხვებს. თვითონ ამ სტრიქონის დამწერი დაეცხვარით მათ მეუფებასთან, როცა შემოვიდნენ მასთან დიდუბის ეკლესიის სამრევლო სამზრუნველოს თავს-მჯდომარე და ზოგიერთი წევრი. სწორედ მშენიერ სურათს წარმოადგენდა მწყემს-მთაფრის საუბარი მართველ საპატო პირებთან სამრევლო სამზრუნველოს მნიშვნელობის შესახებ.

— თქვენო მალალ ყოვლად უსამღედლოესობავ, მოახსენეს მათ მეუფებას ამ საპატო პირებმა, ჩვენ მივიღეთ და დიდის სიამოვნებით მოვისმინეთ თქვენი წინადადება სამრევლო სამზრუნველოის შესახებ, რომლის თავს-მჯდომარედ და წევრებად ჩვენ დაუნიშნავართ თქვენს მეუფებას. მივიღეთ წესდებულეზაც, წავიკითხეთ იგი, მაგრამ ბევრი ადგილები ჩვენთვის გაუგებარია და ამიტომ ვითხოვთ თქვენი მეუფებისაგან ამ საექვეო ადგილების განმარტებას და მასთან ბოდიშს ვითხოვთ, რომ ასე უღროვეო დროს გაახელით.

— მე ყოველთვის მზად ვარ, მიუგო მათმა მეუფებამ ამ პირთ, მივიღო ყველანი, რომელნიც კი ჩემთან რაიმე საქმისათვის მოდიან და დახმარება აღმოუჩინო მათ, რითაც კი შემეძლება. სრული იმედი მაქვს, ბრწყინვალენო თავადნო, რომ ამ საქმეში მიიღებთ მხურვალე მონაწილეობას. მე რუსეთშივე მქონდა გაგონილი ბევრი რამ კარგი და სასიამოვნო საქართველოს თავად-აზნაურობაზე; გაგონილი მაქვს, რომ ეს თავად-აზნაურობა არაფერს ზოგავდა თავიანთ ეკლესიების გამშენებისა და შემკობისათვის და მასთან დიდ ნიეთიერ შემწეობას აძლევდა ეკლესიების მოსამსახურეთაც. მე ამას წინეთ დავათვლიერე დიდუბის ეკლესია და სწორეთ მეწყინა, რომ ეს ისტორიულად შესანიშნავი ტაძარი ასეთ არა სასიამოვნო მდგომარეობაშია. ამ ტაძარს არა აქვს გუმბათი, არა აქვს გალავანი და შიგნითაც იგი რიგინად არ არის მორთული და შემკობილი. როგორც გამიგონია, თქვენი დიდებული დედოფალი მამარი ამ ეკლესიაში დაგვირგინებულა და ნუ თუ თქვენთვისაც საწყენი არ არის, რომ ეს ეკლესია ჯეროვანად არ არის შემკული? მიიღეთ მონაწილეობა ამ ეკლესიის ჯეროვანად და შესაფერად გამშენების საქმეში. თუ თქვენ ამ საქმეს ჯეროვანად მოკიდებთხელს, მაშინ, იმედია, რომ თქვენს საქციელს სხვანიც მიბაძვენ და ამ გვარად შესრულდება კეთილი საქმე, რომლისათვისაც უფალი დაგაჯილდოებთ თქვენ.

მწყემს-მთაფარი თითქმის სამი საათი მოსიყვარულე მამასავით ებაასა ზემოთ აღნიშნულ პირებს, რომელთაც ჯეროვანი ღარიგება და საექვეო კითხვების განმარტება მიიღეს მათი მეუფებისაგან და კმაყოფილნი გაემგზავრენ შინისაკენ. საჭირო არ არის განმარტოთ, თუ რა გავლენას იქონიებს სამწყსოზე მწყემს-მთაფრის ასეთი მამა-მეილური საუბარი ჩვენი ღარიბი ტაძრების გამშენებისა და განახლების საქმეში.



«მწევესია»-ს კორექსიონდენცია ახალ-სენაკიდან.

წარსული თთვის 18-ს დ. ახალ-სენაკში კრება ქონდათ სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ოლქის სამღვდლოების დეპუტატებს. უმთავრესი საგანი, რომელზედაც კრებას მსჯელობა უნდა ჰქონოდა, იყო სასულიერო სასწავლებლისათვის სამუდამო ადგილის აღმორჩევა. 18 აპრილს, დილის ათ საათზე დეპუტატები შეიკრიბნენ სასწავლებლის შენობის ერთ დარბაზში. სოტა ოდენი მოლაპარაკების შემდეგ, გაჩნდა ჩვეულებრივი «პარტიოზა» დეპუტატებში.

ზოგიერთმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ კრება შემდეგი დროისათვის გადადებულიყო, რადგან მათი აზრით, ზოგიერთი დეპუტატები უკანონოთ იყვნენ აღრჩეულნი. ამ დეპუტატებმა თავისი აზრი კრების შემდეგი დროისათვის გადადებაზე, მოახსენეს მის ყოფილად უსამღვდლოესობას ზრიგორის. მათმა მეუფებამ მოისმინა ამ დეპუტატების თხოვნა და შემდეგი გამოუცხადა კრებას: «არავითარიმე პატივსადები მიზეზი არ არის, რომ კრება შემდეგი დროისათვის გადაიდვას და ამიტომ სანამ დეპუტატები დაფარულის კენჭის ყრით არ აღმოიჩნევენ სასწავლებლისათვის სამუდამო ბინას, მანობამდე არც მათი მეუფება წაბრძანდება სენაკიდან და არც მათ მისცემს აქედამ წასვლის ნებას». მათი მეუფების სიტყვებმა ჯეროვანი ზედ-მოქმედება იქონია დეპუტატებზე და ისინიც შეუდგნენ კრების თავს-მჯდომარის აღმორჩევას. მაგრამ კრების გადადების მომხრე დეპუტატებმა ეხლა სხვა მიზეზი წამოაყენეს. მათ განაცხადეს: «დღეს აფხაზეთის ვპარქიის სამღვდლოება, მართალია, შემოერთებულია ჩვენთან სასწავლებლის შენახვის საქმეში, მაგრამ შეიძლება მათ შემდეგში თავიანთი საკუთარი სასწავლებელი დაუარსონ და ამიტომ იქიდგან გამოგზავნილნი დეპუტატები ნუ მიიღებენ მონაწილეობას კრებაში». სამურზაყანოდაც იყო სულ სამი დეპუტატი. ამ კითხვის განსამარტებლად ტელეგრაფმა გაუზიარა მისმა მეუფებამ ზრიგორიმ მის მაღალ

ყოფილად უსამღვდლოესობას, საქართველოს ექსარხოსს პალლადის, რომელმაც აცნობა ყოფილად სამღვდლო ზრიგორის, რომ აფხაზეთის დეპუტატებს, ნება ეძლევათ კრებაში მონაწილეობის მიღებისაო. ამ კითხვის განმარტების შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ თავს-მჯდომარის აღრჩევას. აქაც შეიქმნა ჩვეულებრივი «პარტიოზა». შოთის და მარტილის მომხრე დეპუტატებმა ერთი ერთმანეთს მისცეს მხარე, ხოლო ახალ-სენაკის მომხრე დეპუტატები ცალკე დარჩნენ. პირველმა მხარემ თავს-მჯდომარის ადგილზე კანდიდატათ წამოაყენა ბლალოჩინი მღვდელი ი. ბაცერელია, ხოლო მეორემ დეკანოზი ანჯაფარიძე, რომელიც აღრჩეულ იქმნა ხმის უმეტესობით. მათმა მეუფებამ ზრიგორიმ დამტკიცა თავს-მჯდომარედ დეკანოზი ანჯაფარიძე. დამტკიცების შემდეგ მ. დეკანოზმა ანჯაფარიძემ განხსნა კრება. კრება პირველად შეუდგა სასწავლებლის სამუდამო ბინის აღმორჩევის საქმეს. სწორეთ ამ დროს კრებაში შემოვიდა ორი დეპუტატი: ერთი ზუგდიდიდან და მეორე ძველი სენაკიდან. ორივე დეპუტატი ითხოვდა, რომ ზუგდიდზედაც და ძველ სენაკზედაც ეყარათ კენჭი და მასთან დიდ შემწეობასაც პირდებოდნენ. სამღვდლოებას, თუ სასწავლებელი რომელიმე ამ ადგილში იქმნებოდა გადატანილი. კრებამ არ შეიწყინა დეპუტატების თხოვნა, რადგან სასულიერო მთავრობისაგან სასწავლებლის ადგილად აღნიშნული იყო მარტო შოთი, ახალ-სენაკი და მარტილი. შეიქმნა ბაასი ამ დასახლებული ადგილების უპირატესობაზე. მარტილის შესახებ დეპუტატებმა განაცხადეს: «მართალია, მარტილი ჰავით სჯობია შოთსაც და სენაკსაც, მაგრამ ის ადგილი, სადაც სობოროა, ისეთი ვიწროა, რომ სასწავლებლის შენობაც ძლივს დაეტევს. მოსწავლეები უნდა დადგნენ სოფელში, რომელიც სობოროდამ ქვემოთ ვაკეზე მდებარეობს და აქ ჰავაც ბევრით არ განიროხევა ახალ-სენაკისაზე, და მოსწავლეებიც ძალიან დაშორებულნი იქმნებიან სასწავლებელზე. სასწავლებელს არ ეყოლება ექიმი და მასთან არ ექნება ხერიათი გზა. შოთი სენაკს სჯობია და დიდ შემწეობასაც გვირდებიან შოთელები, მაგრამ ეს ადგილი ძალიან დაშორებულია და იქ



შვილების წაყვანა და მათი შენახვა სამძიმოდ დაურჩება სამღვდლოებას და ბევრი მათგანი სრულებით იძულებული იქნება შეიღებს სწავლისათვის თავი დაანებებოთ. რაც შეეხება სენაკს, მართალია სენაკი გეგინურის მხრით ნაკლებია, მაგრამ აგერ ცხრა წელიწადია, რაც სასწავლებელი აქ არსებობს. ბავშვებიც კარგად შეეთვისენ აქაურს ჰავას. ამასთან სასწავლებლისათვის გვაძლევენ ადგილს ბაზრის ზემოთ, მალლობზე, სადაც ჰაერიც კარგია და წყალიც. შვილების შენახვაც აქ უფრო ადვილად გეგდება სამღვდლოებას. შემდეგ კრებამ მოსთხოვა სენაკის საზოგადოებას დანაპირების აღსრულება. საზოგადოებამ დაუყოვნებლივ წარმოადგინა აღნათქვამი ფულები და ყოველი პირობა დამტკიცებული. ამ ბაზის შემდეგ შეიქმნა კენჭის ყრა. დეპუტატები გაიყენენ ორ მხარედ. პირველად კენჭი უყარეს ახალ-სენაკს, მეორედ შოთს და მესამედ მარტილს. სენაკს ამოუვიდა თეთრი 27 და შავი 14; მარტილს 20 თეთრი და 21 შავი; შოთს 20 თეთრი და შავი 21. აქედან ცხადათა სჩანს, რომ მარტილის სამღვდლოების წარმომადგენლებმა შოთს მისცეს თეთრი, რადგანაც თავათ ვეღარ გაიმარჯვეს. სიგელზე კი ასე მოაწერეს ხელი მარტილელმა დეპუტატებმა: «მარტილს გარეშე არსად არა გვსურს სასწავლებელი».

მეს, ვგონებთ, საბოლოოდ გადაწყდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ახალ-სენაკში საბუდამოდ დარჩენა. იმედი გვაქვს, რომ კრების დადგენილობა ამ საგნის შესახებ დამტკიცებულ იქნება უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან და არცერთი მხარის თხოვნა შეწყნარებული აღარ იქნება.

მეორე და უმთავრესი საგანი, რომელიც სამღვდლოების კრებას უნდა განეხილა, იყო შემდეგი: კრებას წარუდგინეს მეგრულად ნათარგმნი ლოცვები შესასწორებლად და სახმარებლად. ამ კითხვამ დიდი ბაასი გამოიწვია დეპუტატებში. სჩანდა, რომ თვითოველ დეპუტატს საწყენად, უსარგებლოდ და მოუხერხებელ საქმედ მიაჩნდა ლეთის-მსახურების და ლოცვების მეგრულ ენაზე თარგმნა. შემდეგ ხანგრძლივი ბაასი-

სა კრებამ ერთხმათუარ ჰყო ლეთის-მსახურების და საღმრთო ლოცვებს ქართული ენიდგან მეგრულზე გადათარგმნა. სამღვდლოებამ დაადგინა, რომ ლოცვებს და საღმრთო წერილის ქართული ენიდგან მეგრულ ენაზე გადაღება ყოველად შეუძლებელი და მოუხერხებელია. რადგან მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ხალხი ქართულს წირვა-ლოცვას არის შეჩვეული და ამ ნაირი თარგმნა მწვალებლობას გამოიწვევს და მასთან ხალხში, რომელიც გვართომობით და ენითაც ქართველია, დაარღვევს ძველს ერთობის კავშირსო. ამ მშენიერი განჩინების საბუთად, კრებამ სხვათა შორის, ისიც დაასახელა, რომ მეგრულ ენაზე ბერი ქართული სიტყვები იხმარებიან და ამ სიტყვების მეგრულად გადათარგმნა არ შეიძლება, რადგანაც სამაგიერო არა ვეაქვს ჩვენ მეგრულს ენაზე და უარგისი სიტყვებთ რომ ეთარგმნოთ, მაშინ ხომ უფრო ცუდი იქნებაო. მეგრული დიდის პატივისცემით ეპურობა ქართულს ენას. შემდეგ ამ კითხვის გადაწყვეტისა სასწავლებლის სამართველომ კრებას გადასცა განსახილველად და დამტკიცებლად სასწავლებლის მოძავალი წლის საჭირო ხარჯთა აღრიცხვა (СМБТА), მაგრამ სამღვდლოებამ სმეტის განხილვა შემდეგი კრებისათვის გადადგამოლოდ მესამედი ჯამაგირი მისცა საჩუქრად სასწავლებლის მასწავლებელს მ. მიქაძეს.

«მწვემსი»-ს კარანკსზოდენცია ზედა - მადლაკიდგან.

წარსული წლის დეკემბრის თთვის 25 ჩენი სოფლის ზედა-მალაქის მაცხოვრის ეკლესიის მღვდლად ხელ-დასხმულ იქნა მთავარ-დიაკონი მუთაისის საკათედრო სობოროსი მ. ტარასი ტყეშელაშვილი. მ. ტარასის



მღვდლად დანიშნა ყველა ჩვენგანს სასიამოვნოდ დაურჩა. 14 იანვარს მოვიდა ახალი მწყემსი ჩვენსოფელში და ჩაიბარა მისდამი რწმუნებული ეკლესია, რომლის სიღარიბემ არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მ. ტარასიზე. ამიტომ ახალმა მწყემსმა თავის პირველ მოვალეობად დაიდგინა მისდამი რწმუნებული ეკლესიის გარეგანი და შინაგანი მოწყობა და შექცობა. მ. ტარასიმ მოიწვია მთელი თავისი სამრევლო და აუხსნა მათ ეკლესიის მნიშვნელობა და სთხოვა სამწყსოს, რომ მან, შეძლებისა და გვარად, შემწეობა აღმოუჩინოს მას ეკლესიის გამშენების საქმეში. სულიერი მამის თხოვნას უწყალოდ არ ჩაუვლია. მ. ტარასიმ სამრევლოის და სხვა საპატრიარქოსის პირების დახმარებით შეკრიბა იმდენი ფული, რომ ამ მოკლე ხანში მოიპოვა ორი სამღვდელო შესამოსელი, რომელთაგან ერთი რწყელი მ. ტარასის თხოვნით შესწირა ეკლესიას ერთმა საპატრიარქოსმა. მოიპოვა საწიგნე თავის შესამოსითა, გვირგვინები და რიგიანად მოწყობილი სახარება. ღღემდის ჩვენს ეკლესიაზე წირვაზე ძალიან ნაკლებად დადიოდნენ მლოცველები, მაგრამ ღღეს არა თუ წირვაზე, საღამოს და დილის ლოცვაზე საესეა ხალხმე ეკლესია მლოცველებით. ამის მიზეზი, ჩქის აზრით, უნდა იყოს ღვთისმსახურების რიგიანად შესრულება. ყოველ წირვის გათავების შემდეგ მ. ტარასი ღღის შესაფერ სიტყვას უკითხავს ხალხს ყოველად სამღვდელო შაბრიგლის ქადაგებიდამ და თავის სიტყვით უმარტავს მსმენელებს სიტყვის აზრს.

ღღემდის ჩვენს სოფელში არა ვითარიმე სკოლა არ ყოფილა, თუმცა მსურველი ბევრი იყო, რომ შეიღებისათვის წერაკითხვა ესწავლებიათ. მ. ტარასი მოსვლისათანავე შეუდგა სამრევლო სკოლის დაარსებას. მარტის თვეში მ. ტარასიმ თავის საკუთარს სახლში გახსნა სკოლა; თავის ხარჯით მოიპოვა სტოლები და სკამები სკოლისათვის და თავისივე ხარჯით ინახავთ თავის სახლში მასწავლებელს. ღღეს ამ სკოლაში არის 35 ვაჟი. მხლბ მ. ტარასი ცდილობს საზოგადოებაში შეკრიბოს იმდენი ფული, რომ სკოლისათვის საკუთარი სახლი მოიპოვოს.

შოველივე ამ მოღვაწეობისათვის სწორედ პატრიარქის ღღისი არის მ. ტარასი და იმეღია, რომ ჩვენი სოფელელებიც შესაფერ დახმარებას აღმოუჩინენ თავის სულიერ მამას. მართალია, საშუალო სასწავლებლებში არ შეუსრულებია მ. ტარასის სწავლა, მაგრამ ღღერთმა ჰქნას, რომ ზოგეერთმა ჩვენმა ნასწავლმა მღვდლებ-

მა ისეთივე ერთგულება გამოიჩინონ თავიანთი ეკლესიების გამშენების და შემკობის საქმეში, როგორსაც იჩენს მ. ტარასი. ღღერთი შეეწიოს ამ კეთილს მოძღვარს, რომ შემდეგშია ცანაკოდოს თავის მოღვაწეობა საკეთილოდ ეკლესიისა და მისდამი რწმუნებულთა სამწყსოსისა.

ს ა მ უ რ ზ ა უ ა ნ ო ღ ა მ .

კიდევ ორიოდე სიტყვა განსვენებულ სოხუმის ეპისკოპოსს გენნადიზედ და მის მოღვაწეობაზედ აუხსავეთის ეპარქიაში.

აუხსავეთის ეპარქიამ დაჰკარგა თავისი სასიკადულო მზრუნველი მამა, ყოველად სამღვდელო გენნადი, რომელიც დაუღალავად ზრუნავდა მისდამი რწმუნებული ეპარქიის ღღეკეთილობისათვის. სწორეთ უსამართლობა და უმადურობა იქნება ჩვენი მხრით, რომ ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენოთ განსვენებული ეპისკოპოსის გენნადის თავგანწირული სამსახური ჩვენი ეპარქიის სასარგებლოდ.

სულ ორი წელიწადია, რაც ყოველად სამღვდელო გენნადი განაგებდა სოხუმის ეპარქიას, მაგრამ ამ მოკლე ხნის მართვის დროსაც მათმა მეუფებამ ღღი შემწეობა აღმოუჩინა მისდამი რწმუნებულ ეპარქიას. ამ მოკლე ხანში განსვენებულმა ორჯერ დაათვალიერა მისი ეპარქიის თითოეული ეკლესია და პირადათ შეიტყო როგორც ათთოეული ეკლესიის მღვდამარეობა, ისე მისი მრევლისა. ყოველად სამღვდელო გენნადის მოგზაურობის დროს არ აჩერებდა არც წვიმა, არც მთაგორიანი და ცუდი გზები; — მათი მეუფება თავგანწირული იყო თავის ეპარქიისათვის და ამიტომ იტანდა ყოველ გვარ გაჭირებას და ჯაფას. მანსვენებული ღღე და ღამე სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა ღღით, რა საშუალებით აღმოიჩინა შემწეობა ეკლესიებისა და სკოლებისათვის და არც უწყალოდ ჩაუვლია მისი მეუფების ზრუნვას. ყოველად სამღვდელო გენნადის მეცადინეობით და თაონობით თოთხმეტი სკოლა დაარსდა სამურზაყანოში; ამ სკოლებში ღღეს რიგიანად მიღის სწავლის საქმე.

განსვენებული ყოველად სამღვდელთა ხშირად მიმართავდა ხოლმე რუსეთის სხვა და სხვა მონასტრებს და მდიდარ ეკლესიებს თხოვნით, რათა მათ შემწეობა აღმოეჩინათ მისდამი რწმუნებული ეპარქიისათვის და, რასაკვირველია, მათი მეუფების თხოვნაც არ ჩიებოდა უყურადღებოთ. განსვენებული ლეზულობდა ყოველ გვარ საეკლესიო ნიეთებს— შესამოსლებს, საეკლესიო სამკაულებს, ხატებს, წიგნებს და სხ. ამ შეწირულ ნიეთებს მათი მეუფება ურიგებდა ეკლესიებსა. განსვენებულის თაოსნობით წარსულ წელში დ. ოქტომბრში დაარსდა წიგნთ-საცავი სამურზაყანოს სამღვდელთათვის და სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის; წიგნთ-საცავს შესწირა საერო და სასულიერო საუკეთესო მწერალთა თხზულებანი. განსვენებულის თხოვნით დიდ-ძალი სასწავლო ნიეთები შემოეწირა ამას წინეთ ქ. ბათუმში დგან სამრევლო სკოლების სასარგებლოდ. მრთი სიტყვით განსვენებული ყოველად სამღვდელთა დიდის სიყვარულით და მამობრივის მზრუნველობით ეკიდებოდა სწავლა-განათლებლის საქმეს. წარსულს წელში ნოებრის თევში მათმა მეუფებამ, როცა იგი სარევიზიოდ ბრძანდებოდა სამურზაყანოში, დანიშნა კრება დ. ოქტომბრში სამრევლო სკოლების მასწავლებელთა, რომელთაც ხარჯი და გზის ფული თავის საკუთარი ჯიბიდან დაურიგა მათ, როცა ხოლმადში ჯდებოდა ვათი მეუფება და ახალ ათონის მონასტერში მიემგზავრებოდა, გახსნა პორტმანე და შიგ მხოლოდ ექვსი შაურილა ჰქონდა ჩარჩენილი. ამით ის მინდა ესთქვა, რომ განსვენებული თავის ჯამაგირს უხვად ახმარდა ეკლესიას და სკოლას. ისეთი სკოლა არ არის აფხაზეთში, რომელშიაც მათ მეუფებას შეგირდებისათვის თუმანი—ან ხუთი-ექვსი მანეთი არ დაეტოვებინოს.

მე არ შემძლია განსვენებული ყოველად სამღვდელთა გენადის ღირსებათა დაწვრილებით აღწერა, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იგი იყო ძრიელ გულკეთილი და სტუმართ მოყვარე გვამი. არ ყოფილა

მაგალითი, რომ ახლად ნაკურთხი მღვდელი ან დიაკვანი უსადილოთ ან უჩვეოთ გაეშვას კურთხევის დღეს.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამისთანა მღვდელ-მთავრის სიკვდილმა ასე მწაჩეთ დაალონა და შეაწუხა როგორც მთელი სამღვდელთაობა სოხუმის ეპარქიისა, ისე მკვიდრნიც. ცხადია, რომ, თუ კაცი მეტად სწუხს კაცზე, მაშინ იგი ვერ ახერხებს სიტყვის წარმოთქმას. ჩვენც ასე მოგვივიდა: როცა წესის აგების დროს დიაკონმა მოიხსენა მიცვალებულის სახელი, ისეთი ქვითინი ასტება, რომ იძულებული შეიქმნა შეჩერებულ იყო, რადგან ვერ ახერხებდა სიტყვის წარმოთქმას, ხოლო საკურთხეველში მღვდლები ვერ ვახერხებდით ასამაღლებელის თქმას. ხალხი უწყალოდ ღვრიდა ცრემლს. მოგახსენებენ, რომ მონასტერში როცა ახლო-მახლო სამრევლოის მღვდლებმა მოიყარეს თავი პანაშეიდის გარდასახდელად, ისეთი ტირილი ატყდა, რომ ზედი-ზედ სამი მთავარ-დიაკვანი გამოიცივალეს, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა მეტის მეტი ტირილისა გამო ვერ გამოთქვა სიტყვა განსვენებული გენადის სახელის ხსენება ზედ.

მგონი მართო ესეც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, თუ რა კეთილი მამა დაეკარვა სოხუმის ეპარქიის. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო ძვირფასო, გულ კეთილო მწყემსთ-მთავარო გენადი.

მღვდელი ნიკოლოზ შენგელია.



ორიოდე სატყვა კარდაცვალებული ბლადოჩინის  
მღვდლის მიხ. ნასუიდოვის დასაფლავებაზე.

ქალაქ თბილისის საავთანყოფოში  
თოთხმეტს აპრილს, ღამის პირველ სა-  
ათზე გარდაიცვალა მღვდელი მ. ნასუიდოვი,  
შემდეგ ხანგრძლივი ავანყოფობისა. განსვენე-  
ბული მოასვენეს გორში 16 აპრილს და და-  
საფლავეს 18. როგორც ქალაქში, ისე გზაში და  
განსაკუთრებით გორში დიდი მწუხარება გამო-  
აცხადა ხალხმა განსვენებულის შესახებ. გორის  
ხიდს გადმა ხალხის ტევა ადარ იყო იმ დღეს,  
როცა განსვენებული მოასვენეს; ტირილს  
და ქვითინს საზღვარი ადარა ქქონდა! ვერ გაარ-  
ჩევდა კაცი, ვინ იყო მოკეთე და ვინ უცხო; ყვე-  
ლანი ერთის მწუხარებით იყვნენ გამსჭვალულ-  
ნი, ხოლო განსვენებულის სახლობის საბრძოლო  
გოდება მადლა ცაში საცოდავით გაისმოდა და  
ამ გოდებას ერი ბანს აძლევდა ხმა მადალი ტი-  
რილით. შეწუხებული სამღვდლოება ვეღარ  
ახერხებდა წესის ასრულებას! დასაფლავების  
დღისთვის სხვა-და-სხვა მხრიდგან მოვიდნენ  
განსვენებული მიხეილის საბლადოჩინოს მღვ-  
დლები. ივინი სტიროდნენ მას, როგორც სა-  
უვარელს მამას. მრევლის სიუვარულს ნუღარ  
ვიტყვივით. განსვენებული მიხეილის ძმა—მეგობ-  
რებმა, კარგმა ნაცნობებმა ღრმა მწუხარება გამოი-  
ჩინეს ამ დღეს. განსვენებულის დასაფლავება-  
ზედ დაესწრნენ ყველანი გაურჩევლად წოდებისა,  
სჯულისა და სამსახურისა.

სამწუხაროა, რომ სასულიერო სასწავლებ-  
ლის მასწავლებელნი და მოსწავლენი არ დას-  
წრებიან განსვენებულის დასაფლავებას. განსვენ-  
ებული თითქმის 15 წელი მსახურებდა ამ სას-  
წავლებლის სამმართველოს წევრად და აგრეთ-  
ვე ამ ბოლო დროს მოსწავლეების მოძღვრა-  
თაც იყო.

განსვენებულის სხვა კეთილ საქმეთა შორის  
უნდა ადვნიშნოთ მისი თაოსნობით, დვაწლია  
და შრომით ორი ეკლესიის აშენება—ერთის  
ოქონისა და მეორის, ესრედ წოდებული, რუსის  
ეკლესიისა გორში.

განსვენებულს დარჩა ცოლი, მცირე წლო-  
ვანი შვილები და დედა დიდ სიღარიბეში.

დასაფლავების დროს გორის სასულიერო  
სასწავლებლის მასწავლებელმა ბ. იტალინსკიმ  
გრძნობით სავსე სატყვა უთხრა განსვენებულს,  
რომელმაც გამოხატა მისი შრომა და დვაწლი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატრიოსანო  
მწუქესო და დაუღალაო მშრომელო!

### ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ მოვიბოვეთ ერთი ძველი შესანიშნავი რუსუ-  
ლი წიგნი, რომელიც დაწებულია XVII საუკუნის  
დასაწყისში და გათავებულია ამავე საუკუნის დამლევს.  
ამ წიგნში ისტორიისათვის ბევრი შესანიშნავი დასაინ-  
ტერესო ადგილებია. წიგნი შესდგება სტატიებისგან,  
რომლებშიაც დაწერილებით არის აღწერილი მოკზა-  
ურობა დესპანთა ალექსი მიხაილის ძის მიერ გაგზავ-  
ნილთ სპარსეთში შაჰ-აბაზთან და იმერეთის მეფე  
ალექსანდრესთან. ძლიერ საინტერესო და სასიამო-  
ნო არის აღწერილობა ამ დესპანთაგან გელათის  
ტაძრისა, მეთათსში ბაგრატის ტაძრისა, რომელშიდაც  
მათ მოუსმენიათ ქათალიკოსის წირვა მეფის ალექ-  
სანდრეს თანა დასწრებით და ცერემონია—თუ როგორ  
მართვეს მათ მეფე ალექსანდრეს ალექსი მიხაილის  
ძისგან გამოგზავნილი საჩუქრები.



შემდეგში ჩვენ დაწვრილებით გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს ამ წიგნის შინაარსს.

\* \*

ძუთაისის საპატრიარქოს ეკლესიის ბლალაოჩინის მღვდლის მ. მკროპირ ძაქახიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«**ჯ**რუჭის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა მ. სიმონმა შეაწირა ერთი თუმნის საღარალი წიგნები და პატარა წიგნაკები სასულიერო შინაარსისა ძუთაისის საპატრიარქოს წიგნთ-საცავს. აი ამ შეწირულთა წიგნთა რაოდენობა და სხელი: აზნაიანი 4 ცალი, კახაბდანი ერთი, ქართული ლექსანი 4 ცალი, მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო 3, გელათის მონასტრისა და ცხოვრების აღწერა მეფის დავით აღმაშენებლისა 3, წმ. დავით და კონსტანტინე 5 ცალი, სიკვდილი მართლისა 4, მეფე სულამონ ბძქენი 7, მწაჟე საწმუნოებისათვის 18, ქართული პატარა სასარგებლო 1, შიომღვიმელი 5, წმიდა ნინო 15, ათათი ცალი: შობა უფლისა, მიჩქმა უფლისა, საჩება უფლისა, ბზობა უფლისა, აღდგომა ქრისტესა და წმიდა ვლადიმერი. ამ შეწირულებისათვის გულითად მადლობას უძღვნიან მ. არქიმანდრიტს სიმონს ძუთაისის საპატრიარქოს პატრიარქი.

იმედია, რომ სხვანიც მიბადვენ მამა სიმონის მშვენიერს მაგალითს და არ დაიშურებენ ორიოდ წიგნაკს ზემოთ აღნიშნულ წიგნთ-საცავს სასარგებლოდ».

\* \*

რიგია აქო, რაც საქებია და საძაგებელი აძაგო. ძლიერ კარგი საქმე განუზრახავს ბ. ბენედიქტეს (ბარკალაიას). ქ. ბათუმის თვით-მართველობისათვის უთხოვნია ეკლესიის დასადგმელი ადგილი; მას განუზრახავს ათონის ივერიის იოანე ლეთის-მეტყველის მონასტრის საფანის დაარსება ქ. ბათუმში. **თუ** ქალაქისაგან ადგილი მომეცემა, ამბობს ბ. ბენედიქტე, ეკლესიას ჩემის ფულით აღვაშენებ და ამ ეკლესიაში

ნიადაგი წირვა-ლოცვა იქნებაო. ეკლესიის ასაშენებლად რომ ბ. ბენედიქტე ფულს იშოვის, ამაში ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, მაგრამ გვიკვირს, რომ ბ. ბენედიქტემ ასეთი თხოვნით არ მიმართა ქ. ძუთაისის თვით-მართველობასაც?

\* \*

მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოს პალლადის, რომელიც დაუცხრომლად მეცადინობს საქართველოს ძველ შესანიშნავ ტაძრების და მონასტრების განახლებას, უკვე მოუხდენია განკარგულება, რათა განახლონ დიდებული სამების ტაძარი, რომელიც სოფელ ხაშიდამ ექვსი ვერსის მანძილზე არის დაშორებული და გორის მაზრის სოფლის ტიგვის ლეთის-მშობლის ტაძარი, რომელიც მდებარეობს თავად ამირჯიბების და ფალაენდების მამულში. ამ ტაძრების შესაკეთებლად საჭირო ფულების რამოდენიმე ნაწილს ექსარხოსი სწირავს კავკასიაში მართლ-მადიდებელი საწმუნოების აღმადგინებელი საზოგადოების საშუალებათაგან.

\* \*

ამავე საზოგადოების რჩევის ერთ კრებაზე მათ მეუფებას აღუძრავს კითხვა, რათა დაცულ და შეკეთებულ იქნეს მცხეთის შესანიშნავი ტაძრის ძველი მხატვრობა და რჩევას, ექსარხოსის წინადადებისა ებრ, დაუდგენია ამ საზოგადოების ძირეული თანხისაგან 1000 მანეთის დანიშნა აღნიშნული საგნისათვის.

\* \*

ამას წინეთ მთავრობისაგან დაინიშნა კომისია, რომელსაც უნდა განეხილა კითხვები ძველი ენების სწავლების შესახებ კლასიკურ გიმნაზიებში. ამ კომისიას ამ დღეებში გაუთავებია თავისი მინდობილობა და დაუდგენია, მოისპოს წერილობითი სამუშაოები

ძველ ენებში ორ ზემო კლასში და მათ ნაცვლად გააძლიერონ კლასიკების თხზულებათა კითხვა და თარგმნა.

\* \*

ჩვენ გავიგეთ, რომ ამ ზაფხულს მოვა საქართველოში ძველი ტაძრების და მონასტრების დასათვალიერებლად პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი კანდაკოვა.

\* \*

მომავალ ივნისის ანუ ივლისის თვეებში კავკასიაში მობრძანდება პეტერბურგის არქეოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი ნიკოლოზ სტეფანეს ძე ლანსკოი, რომელსაც ზემოდ აღნიშნული ინსტიტუტი აგზავნის ჩვენში საეკლესიო-არქეოლოგიურის მიზნით.

\* \*

თუ რამოდენად სასარგებლოა ეპარქიალური სანთლის ქარხნების დაარსება, ამას ცხადათ ამტკიცებს მლადიმირის ეპარქიის სანთლის ქარხანა, რომელსაც სანთლის წმინდა მონაგებისაგან, გაზეთის სიტყვით, ამას წინეთ აღუშენებია მშვენიერი სახლი მლადიმირის სემინარიის მოწაფეთა საზოგადო ბინისათვის. სახლზე დახარჯულა სულ 11,000.

\* \*

როგორც გაზეთებში ეკითხულობთ, უმაღლეს სასულიერო უწყებას სასულიერო კონსისტორიების საშუალებით უცნობებია სამღვდლოებისათვის, რომ გადამდები სენით ავად-მყოფი ბავშვები აზიარონ ზოლმე ეკლესიაში ცალკე, რადგან არა ერთ გზის შეუნი-

შნაფათ, რომ ზიარების დროს სახმარებელი კოვზის საშუალებით სენი გავრცელებულა კარგა მყოფ ბავშვებზედაც.

\* \*


შმართებელეს სენატს, როგორც გვაუწყებს გაზეთი «სამშობლო», თანახმად ღერბის წესდების მე-4 პარაგრაფის 45 მუხ., განუთავსუფლებია მარკებისაგან თხოვნები და სხვა ქალაქები როგორც თეთროსანი, ისე შაოსანი სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთა თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ.

\* \*

ამ უკანასკნელ წლებში ყველა ეპარქიებში აარსებენ საოლქო და საეკლესიო წიგნთ-საცავებს სამღვდლოების სასარგებლოდ, ხოლო საკითხავებს ხალხთათვის. ამ წიგნთ-საცავთა შორის ზოგიერთები თითქმის მშვენიერად ყოფილან განწყობილნი. მაგალ. სამარიის ეპარქიაში ღვთაყვამულა 648 საეკლესიო წიგნთ-საცავი და მათში ყოფილხ 36,957 სხვადასხვა სახელწოდების წიგნები, რომელნიც შეიცავენ 62,788 ტომს.

\* \*

საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორიდან მეტრიკული მოწმობების მიღების საქმეს, სხვათა შორის, აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი მღვდლები ახალ მონათლულთ ხშირად სხვა-და-სხვა საბუთებში სულ სხვა-და-სხვა სახელებით სწერენ. ამის გამო სინოდალნი კანტორამ გააფრთხილა სამღვდლოება თავისი ცირკულიარული მიწერილობით და დამნაშავეთ სასტიკად სჯის.



სასარგებლო ცნობანი ელფელთათვის.

რომელი თვის რიცხვს დაემთხვევას ამ წელიწადში კვირას დღეები—ჩვენებითა, თუ რომელ კვირას, რომელი ხმა იქმნება და რომელი საცნისკრო სახარება.

მაისის		
—	იღ	კვირიაკე ბჭმისა.
—	იწ	ამაღლება.
—	ქა	კვირიაკე წმიდათა მამათა.
—	კწ	სულის წმიდის მოსვლა.

თთვე	რიცხვი	უოკ. წმ. კვირიაკე	ხმა	სახარება საცნისკრო
ივნისის	ღ	ს	წ	ს
—	იას	ბ	ს	ბ
—	იწ	ბ	ბ	ბ
—	ქმ	ღ	ბ	ღ

ივლისის	ბ	ქ	ღ	ქ
—	თ	ვ	ქ	ვ
—	ივ	წ	ვ	წ
—	ბბ	წ	წ	წ
—	ღ	თ	წ	თ

აგვისტოს	ჭ	ი	ს	ი
—	იგ	იას	ბ	იას
—	ქ	იბ	ბ	ს
—	ქწ	იგ	ღ	ბ

სექტემბრის	ბ	იღ	ქ	ბ
—	ი	იუ	ვ	ღ
—	იწ	ივ	წ	ქ
—	ქღ	იზ	ც	ვ

ოქტომბრ.	ს	იწ	ს	წ
—	წ	ით	ბ	წ
—	იუ	ქ	ბ	თ
—	ქბ	ქა	ღ	ი
—	ქთ	ქბ	ქ	იას

ნოემბრის	ქ	ბბ	ვ	ს
—	იბ	ქღ	წ	ბ
—	ით	ბქ	ც	ბ
—	ბბ	ბბ	ს	ღ

დეკემბრის	ბ	ქწ	ს	ქ
—	ი	ქწ	ბ	ვ
—	იწ	ქვ	ღ	წ
—	ქღ	ღ	ქ	ც
—	ღა	ღა	ვ	ი



რედაქციის პასუხი.

- მღვ. ეპიფ. სონელიას. თქვენგან გამოწერილი წიგნები მოკითხეთ ქუთაისში, ჩვენ სტამბის კანტორაში.
- მღვ. გრ. ხანანიძეს. გარკვეულ ნაწილებს, იმედა, შემდეგში გადაწვევენ ჩვენს სამრევლოებს ცუდ ჩვეულებათა ასრულებას და უქმე დღეების გამოცნობას.
- მღ. ი. ჯა — იას. სანამ თქვენს უქმეების და ხმის მახველებს მივიღებდით, ჩვენ უკვე დაბეჭდილი გვქონდა ამისთანა მახველებლა.
- აღ. ნ. ბა — ეს. ის ანა სჯობს, ფულები გამოგზავნათ და წიგნი მერე მიიღეთ.

მიიღება ხელის-მოწერა 1889 წლისათვის ორკვირულ გამოცემათა მართულს

„მ წ ყ ე მ ს ი ე ლ“

რუსულ « П А С Т Ы Р Ь »-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შვატყოზინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააერცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააერცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) უხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეკეო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუკილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა,

არის— 1) შვატყოზინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემსი»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას სასოთველო, ეს დაზოგებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

გ ა ს ი გ ა ზ ე თ ი ს ა :

- 12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ.
- ,, ორივე გამოცემა 6 ,, — ,, ორივე გამოცემა 4 ,,
- ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში საღოვის ქუჩაზე, მარკაროვის სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. მუთაისში ხანაწაშვილების სახლებში და დ. შვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორებში.

ბარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилу, въ контору редакціи „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: მოწერილობა ყოველდღ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრევისა. — მოწოდება. — არა ოფიც. ნაწილი: მეტრულ ენაზე ლოცვების და წირვის წესის გადათარგმნისა გამო. — როგორ არსდება ჩვენში საეკლესიო სამრევლო სამზრუნველონი? — «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია ახალ სენაკიად. — «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია ზემო-მღვდლონი. — გიდეკ ორიოდ სიტყვა განსვენებულ სოხუმის ეპისკოპოსის გენნადის მოღვაწეობაზედ. — ორიოდ სიტყვა გარდაცვალებული ბლადიმინის მღვდლის მახ. ნასვიდოვის დასაფლავებაზედ. — ახალი ამბები და შენიშვნები. — სასარგებლო ცნობანი მღვდლოთათვის. — რედაქციის პასუხი. — განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე.

Доз. цензурою, Мая 14 1889 г.

Типографія журнала «Мцѣмси»